1816

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომუნისти ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი
24 დეკემბერი
1940 წ.
№ 297 (5998)
ფასი 10 კაპ.

კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის გამაძლიერება

ერთი წლის წინათ, 1939 წლის 24 დეკემბერს, მოსახლეობის უდიდესი მორალურ-პოლიტიკური აღმავლობით ჩატარდა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. ამ დღეს არასოდეს დაივიწყებენ საქართველოს მშრომელები. ამ დღეს მათ თავიანთ ადგილობრივ საბჭოებში გამარჯვებული სოციალიზმის სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე აირჩიეს ხალხის საუკეთესო შვილები, სამშობლოს თავდადებული პატრიოტები. როგორც ყველგან საბჭოთა კავშირში, ისე საქართველოშიაც კომუნისტებისა და უპარტიოთა სტალინურმა ბლოკმა ამ დღეს ახალი, ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა არჩევნებში და მთელ მსოფლიოს უჩვენა საბჭოთა ხალხის გრანიტივით მტკიცე მორალურ - პოლიტიკური ერთიანობა. ეს იყო საბჭოთა პატრიოტიზმის გრანდიოზული დემონსტრაცია. ეს იყო ლენინ-სტალინის პარტიის ახალი ტრიუმფი, მთელი საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი ტრიუმფი.

მზიურ საქართველოში საოლქო (სამხრეთ-ოსეთის), სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 99,49 პროცენტმა. სტალინური ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა არჩევნებში მონაწილეთა 99,40 პროცენტმა. კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის ყველა კანდიდატი არჩეული აღმოჩნდა. ასეთივე წარმატებით ჩატარდა არჩევნები ყველა მომძმე რესპუბლიკაში.

ხალხის ასეთი ერთსულოვნება არნახული და წარმოუდგენელია კაპიტალისტურ ქვეყნებში. იგი სრულიად შესაძლებელი გახდა სტალინური კონსტიტუციის ცხოველმყოფელი მზით გამთბარ ქვეყანაში—საბჭოთა კავშირში. ამ არჩევნებში საბჭოთა ხალხმა ერთხელ კიდევ უჩვენა მსოფლიოს მაღალი ორგანიზაციულობა, ხალხთა სტალინური ძმობის ურღვევი სიმტკიცე და თავისი რიგების ურყევი დარაზმულობა ლენინ - სტალინის პარტიის ირგვლივ.

ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქის — თბილისის მშრომელებმა თავის საქალაქო საბჭოში უსაზღვრო აღფრთოვანებით აირჩიეს ჩვენი დროის უდიდესი ადამიანი, ყველა ქვეყნის მშრომელთა და ჩაგრულთა იმედი, საყვარელი ბელადი, მამა და მასწავლებელი დიდი **სტალინი,** მძლავრი საბჭოთა მთავრობის მეთაური **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი** და ქართველი ხალხის სამაყო შვილი, საბჭოთა დაზვერვის უშიშარი მეთაური **ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.**

საპატიო და სასახელოა მოვალეობა საბჭოთა დეპუტატისა. იგი ხალხის რჩეულია და მისი მსახური. ამხანაგმა **სტალინმა** მოგვცა ბრძნული განსაზღვრა საბჭოთა დეპუტატის მოვალეობისა: „დეპუტატმა უნდა იცოდეს, რომ იგი არის ხალხის მსახური, მის მიერ წარგზავნილი უმაღლეს საბჭოში და იგი უნდა გაჰყვეს იმ ხაზს, რომელზედაც მას მიცემული აქვს განაწესი ხალხის მიერ“.

საბჭოთა დეპუტატი ხალხის დეპუტატია, მისი მსახური. მან დაუღალავად უნდა იმუშაოს ხალხის საკეთილდღეოდ, სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ, ამომრჩეველთა სურვილების განსახორციელებლად. ამ საპატიო მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებენ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები.

იმავე სიტყვაში მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წლის 11 დეკემბერს ამხანაგმა **სტალინმა** განსაზღვრა ამომრჩეველთა უფლება - მოვალეობანი: „თვალყური ადევნონ თავის დეპუტატებს, კონტროლი გაუწიონ მათ და, თუ ისინი განიზრახავენ სწორი გზიდან გადახვევას, თავიდან მოიშორონ ისინი, მოითხოვონ ახალი არჩევნების დანიშვნა“. კონტროლი გაუწიონ თავიანთ დეპუტატებს—ეს საუცხოო უფლებაა. კონტროლის გაწევა და დეპუტატის მუშაობის შემოწმება ამომრჩეველთა მოქალაქობრივი მოვალეობაა.

საბჭოთა დეპუტატი გამოსულია ხალხიდან, მჭიდროდ დაკავშირებულია ხალხთან, თავის ამომრჩევლებთან. ამომრჩევლები თამამად მიმართავენ თავიანთ დეპუტატებს, ხოლო დეპუტატები გულმოდგინედ უსმენენ მათ, ეხმარებიან მათი პირადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, საერთო სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მტკივნეული საკითხების მოსაგვარებლად.

ამჟამად ადგილობრივი საბჭოების წინაშე უდიდესი ამოცანები დგას. მათ თავდადებულად უნდა იმუშაონ მესამე სტალინური ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას, კოლმეურნეობათა სამეურნეო და ორგანიზაციული განმტკიცების საქმეს, სასკოლო მუშაობის, ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო-კომუნალური მშენებლობის გაუმჯობესების საკითხებს; დაუღალავად უნდა იზრუნონ ქალაქების, დაბების, საკოლმეურნეო სოფლების კულტურულად მოწყობისათვის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების დაწესებულებების (სკოლა, კლუბი, სამკითხველო) მუშაობის სანიმუშოდ დაყენებისათვის.

ადგილობრივმა საბჭოებმა და თვითეულმა დეპუტატმა ყოველდღიურად უნდა იზრუნონ მასობრივი თავდაცვითი მუშაობის გაძლიერებისათვის, ხელი შეუწყონ მასობრივი თავდაცვითი ორგანიზაციების საქმიანობას, იბრძოლონ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და სამხედრო ძლიერების შემდგომი გაძლიერებისათვის, და რაც უფრო ძლიერი იქნება ჩვენი სამშობლო—საბჭოთა კავშირი, მით უფრო მოახლოვდება კაპიტალისტური მონობისაგან ხალხთა ბრძოლის სასიხარულო დღე.

საკლესიო უარჰყოფს

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ შანხაელი კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ ჩინეთის არმია ელადივოსტოკით დიდძალ სამხედრო მასალას, მედიკამენტსა და სხვა საჭურველს იღებს და რომ ამერიკელი სამხედრო ოფიცერი კალრსონი უახლოეს ხანებში ვლადივოსტოკს გაემგზავრება, რათა ჩინეთში სამხედრო მასალის გამოგზავნა დააჩქაროსო.

საკდესს დავალებული აქვს უარჰყოს ეს ცნობა, როგორც თავიდან ბოლომდე მოჩხრილი.

ტყიბულ-ქვანახშირის ტრესის წლიური საწარმოო გეგმა შეასრულა

ტყიბული, 23 დეკემბერი (საკდესი). ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტმა 23 დეკემბერს, ვადაზე 8 დღით ადრე შეასრულა ქვანახშირის ამოღების 1940 წლის გეგმა. ეს საწარმოო გამარჯვება მიღწეულია ლენინისა და სტალინის სახელობის მაღაროების წარმატებითი მუშაობის შედეგად. წლის ბოლომდე ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის მაღაროელები გეგმის გადამეტებით მისცემენ ჩვენს ქვეყანას 10.000 ტონაზე მეტ ქვანახშირს.

დონბასელებთან გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ტრესტმა ვალდებულება აიკისრა, რომ 10 პროცენტით გაზრდიდა შრომის ნაყოფიერებას, ფაქტიურად კი ტრესტში შრომის ნაყოფიერების ზრდა 21 პროცენტს აღწევს, 11,6 პროცენტით არის შემცირებული ტონა ქვანახშირის თვითღირებულება, ხოლო ქვანახშირის ხარისხი გაუმჯობესებულია 8,1 პროცენტით.

კომკავშირელთა ფართო მასები ჩავებათ სამხედრო-ფიზიკურ მზადებაში

საუბარი საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანთან, ამხ. ნ. ა. მიხაილოვთან

ამ ცოტა ხნის წინათ საქ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დადგებილება გამოიტანა, რომლის თანახმად კომკავშირულ ორგანიზაციებში მოწყობილ უნდა იქნას კროსი წითელი არმიის XXIII წლისთავის აღსანიშნავად. კროსი გაიმართება 1 თებერვლიდან 28 თებერვლამდე. მასში მონაწილეობას მიიღებენ ის კომკავშირელები, რომლებმაც დაწესებული სატრენირო მინიმუმი გაიარეს და ჩააბარეს ქვეითი და სათხილამურო პირველი საფეხურის ნორმები ნიშანზე „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“.

მოწინავე კომკავშირულ ორგანიზაციათა მოწოდებამ—„კომკავშირელებო, თხილამურებზე!“ — მხურვალე გამოხმაურება გამოიწვია. მთელს ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაჩაღდა კომკავშირული ორგანიზაციათა სოციალისტური შეჯიბრება კროსის საუკეთესოდ მომზადებისა და ჩატარებისათვის. შეჯიბრების ინიციატორებმა—კარელია-ფინეთის სსრ კომკავშირელებმა — შეჯიბრებაში გამოიწვიეს მოლოტოვის, გორკისა და არხანგელსკის საოლქო კომკავშირული ორგანიზაციები. მოსკოვის კომკავშირელები ეჯიბრებიან ლენინგრადის კომკავშირელებს, უკრაინის კომკავშირელები — ბელორუსიის კომკავშირელებს. შეჯიბრებაში ჩაება ათობით მხარე და ოლქი, იგი მოედო ასიათასობით კომკავშირელებს.

მრავალი ფაქტი გვიჩვენებს, თუ რაოდენ ფართოდ გაჩაღდა კროსისათვის მზადება ადგილებზე. მაგალითად, სტალინის ოლქში ამ უკანასკნელ დასვენების დღეს სალაშქროდ გამოვიდა 50 ათასი კაცი, ზაპოროჟიეში—10 ათასი, კუიბიშევში—4 ათასი და ა. შ. არასრული ცნობებით, მარტო 19 ოლქიდან ამ დღის მასობრივ სატრენირო ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღო 200 ათასზე მეტმა კომკავშირელმა.

კროსისათვის მზადებას თან ახლავს კომკავშირში სამხედრო-ფიზკულტურული მუშაობის ერთგვარი საერთო აღმავლობა. ბევრ ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში კომკავშირული აქტივის ჯგუფებმა რეგულარული სამხედრო - ფიზკულტურული მეცადინეობა დაიწყეს. საქართველოსა და ყაზახეთში კომკავშირელთა მუდმივ სამთო-სათხილამურო და სამთო ქვედანაყოფებს ჰქმნიან. ზოგიერთ პირველად კომკავშირულ ორგანიზაციაში — ტულის ლენინის სახელობის ქარხანაში, ნიკოპოლის მილის ქარხანაში, გორკის ოლქის ლუკოიანოვის რაიონის კოლმეურნეობებში—შემოღებულია რეგულარული სამხედრო-ფიზკულტურული მეცადინეობა ყველა კომკავშირელისათვის.

ბევრ ორგანიზაციაში კომკავშირელები პირადს სასპორტო ინვენტარს იძენენ, ადგილობრივ აწყობენ თხილამურების, კოსტიუმებისა და სხვა სასპორტო ინვენტარის დამზადებას. საჭიროა ყოველნაირად შეეწყოთ ხელი და გავავრცელოთ ის ინიციატივა.

ამ საქმეში მონაწილეობას იღებენ პიონერებიც. პიონერულ რაზმებსა და სკოლებში გაცხოველებით ემზადებიან პიონერთა და მოსწავლეთა სამხედრო - ტაქტიკური თამაშობისათვის „იერიშზე“, რომელიც ზამთრის არდადეგების დროს გაიმართება, ამავე დროს დაიწყება პიონერთა და მოსწავლეთა სამხედრო-ფიზკულტურული შეჯიბრება, რაც ტრადიციულ შეჯიბრებად იქცა. ბევრ სასოფლო რაიონში მოსწავლენი სკოლაში ყოველდღე დადიან თხილამურებით.

კროსისა და სხვა სამხედრო-ფიზკულტურულ ღონისძიებათა მომზადებაში ახალგაზრდობას დიდ დახმარებას უწევენ პარტიული ორგანიზაციები. პარტიის მრავალმა საოლქო კომიტეტმა სპეციალურად განიხილა ეს საკითხები, კონკრეტული გადაწყვეტილებანი გამოიტანა კომკავშირულ ორგანიზაციებში მასობრივ სამხედრო-ფიზკულტურული მუშაობის დაყენების შესახებ, თხილამურებისა და სხვა საპორტო ინვენტარის წარმოების გადიდების შესახებ.

კომკავშირელთა სამხედრო-ფიზიკური აღზრდა კომკავშირულ ორგანიზაციათა მთელი აღმზრდელობითი მუშაობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს მხარეს წარმოადგენს. სამხედრო საქმე, წითელარმიელისა და მეთაურის სამსახური სპეციალურ ცოდნასა და განსაზღვრულ მომზადებას მოითხოვს. ვისწავლოთ სამშობლოს დაცვა იარაღით, ვისწავლოთ მტკიცედ, შეუპოვრად, დღითი-დღე,—აი რა მოეთხოვება კომკავშირელს.

კომკავშირელის პირდაპირი ამოცანაა—აღზარდოს გაბედული, გამძლე, გამოწრთობილი, მზნე ახალგაზრდობა, რომელიც სასტიკი სამხედრო ვითარების ყოველგვარ გასაჭირს აიტანს, რომელსაც ყოველ წუთში შეუძლია იარაღით დაამტკიცოს უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი, ამხანაგ სტალინისადმი.

კომკავშირელთა ინტერესი სამხედრო-ფიზიკური მომზადებისადმი, უწინარეს ყოვლისა, ღრმა პატრიოტული გრძნობით აიხსნება. კომკავშირელს ესმის, რომ სამხედრო-ფიზიკური მომზადება როგორც საშუალება ყოველმხრივი აღზრდისა, ორგანიზმის გამოწრთობისა, ნებისყოფის. სიმტკიცის და გაბედულების გამომუშავებისა—არა მარტო მისი პირადი, არამედ სახელმწიფო. სახალხო საქმეა, ვინაიდან იგი ხელს უწყობს წითელი არმიის საბრძოლო ძლიერების გაზრდას.

კომკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანაა — განამტკიცოს სამხედრო-ფიზკულტურული მუშაობის ამჟამად არსებული აღმავლობა, კომკავშირს უსაზღვრო შესაძლებლობა მოეპოვება ფიზიკური განვითარებისა და სამხედრო სრულყოფისათვის. პარტია და მთავრობა, პირადად ამხანაგი სტალინი დიდ ყურადღებას უთმობენ ახალგაზრდობის სამხედრო და ფიზკულტურულ აღზრდას. კომკავშირის საპატიო ამოცანაა — ფიზკულტურის, სპორტისა და სამხედრო საქმის მეცადინეობაში ჩააბას ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მილიონობით ქალ-ვაჟი. (საკდესი).

აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკები გათუმში

გათუმი („კომუნისტის“ კორ.). 22 დეკემბერს ბათუმში ჩამოვიდა აზერბაიჯანის სსრ სუბტროპიკული რაიონების დელეგაცია 37 კაცის შემადგენლობით. დელეგაციაში შედიან სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები—კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ბრიგადირები, სტახანოველი კოლმეურნეები, აგრონომები და აგროტექნიკოსები. დელეგაციას ხელმძღვანელობენ აზერბაიჯანის სსრ მიწსაბჭოს აგრონომი ამხ. თ. თოფჩიბაში და გაზეთ „კომუნისტის“ (აზერბაიჯანი) წარმომადგენელი ამხ. ა. რაჯაბლი.

დელეგაცია აჭარაში რამდენიმე დღეს დარჩება. მისი მიზანია გაეცნოს მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გამოცდილებას, სტახანოურ მოძრაობას, შრომის ნაყოფიერებას და ამის საფუძველზე მოაწყოს სოცშეჯიბრება ორი რესპუბლიკის რამდენიმე კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას შორის.

23 დეკემბერს დელეგაცია აჭარის ასსრ მიწსაბჭოს წარმომადგენელთა თანხლებით გაემგზავრა მახინჯაურის კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაობის გასაცნობად.

ღრმა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების წლისთავია

მოსკოვის რკინიგზელთა მიმართვა ლენინგრადის რკინიგზელებისადმი

წელს ჩვენმა ქვეყანამ, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით, ახალ დიდ წარმატებებს მიაღწია სოციალისტურ მშენებლობაში.

საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთან ერთად რკინიგზელთა მრავალმილიონიანმა არმიამაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებისა და მისი შემდგომი განვითარების საქმეში.

წელს რკინიგზელებმა წარმატებით შეასრულეს პარტიისა და მთავრობის სპეციალური დავალებანი საბჭოთა კავშირის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების შესახებ.

მოსკოვის განყოფილებებისა და მოსკოვის საოლქო რკინიგზის მუშაკებმა 1940 წლის 11 თვის განმავლობაში გადაჭარბებით შეასრულეს დატვირთვის სახელმწიფო გეგმა, გაადიდეს ვაგონების მიმოქცევა, კომერციული და ტექნიკური სისწრაფე, შემოდგომაზე წარმატებით გადაზიდეს დედაქალაქში ბოსტნეული და კარტოფილი. დასავლეთის, კალინინისა და მოსკოვ-კიევის რკინიგზების განყოფილებებმა უკვე დაამთავრეს დატვირთვის წლიური გეგმის შესრულება.

მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ძერჟინსკის სახელობის რკინიგზის პირველმა განყოფილებამ, რომელმაც წარმატებით შეასრულა ვაგონების დატვირთვის გეგმა, კომერციული და ტექნიკური სისწრაფის დავალებანი და მრავალი სხვა ხარისხობრივი მაჩვენებელი.

ტრანსპორტზე გამოიზარდნენ სტახანოველ-კრივონოსელთა ახალი კადრები, რომლებიც საფუძვლიანად დაეუფლნენ სარკინიგზო საქმის რთულ ტექნიკას და სათანადო ნიმუშებს იძლევიან მუშაობაში.

ამასთან ერთად საჭიროა აღვნიშნოს ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებანიც. მოსკოვის კვანძის რკინიგზების განყოფილებათა უმრავლესობა ჯერ კიდევ ვერ ასრულებს ვაგონების გადმოტვირთვისა და მიმოქცევის გეგმას, ჯერ კიდევ მთლიანად არ არის აღმოფხვრილი მატარებლების დაგვიანება, ავარიები და წუნი მუშაობაში.

მოსკოვის რკინიგზელები ვერ შეურიგდებიან ასეთ ნაკლოვანებებს და მიზნად ისახავენ არა მარტო საკუთარ აღმოფხვრას ეს ნაკლოვანებანი, არამედ მიაღწიონ კიდეც 1941 წელს მოსკოვის კვანძის რკინიგზის ტრანსპორტის ყველა რგოლის მუშაობის კიდევ უფრო გაუმჯობესებას, იმ კვანძისა, რომელიც უზრუნველჰყოფს მრეწველობის მუშაობას და დედაქალაქისა და მოსკოვის ოლქის მოსახლეობის მომარაგებას.

თქვენ, ლენინის ქალაქის რკინიგზელებიც სოციალისტური ტრანსპორტის უაღრესად პასუხსაგებ უბანზე მუშაობთ. თეთრგვარდიელ ფინელებთან ბრძოლის დღეებში, იცავდით რა სსრ კავშირის ჩრდილოეთ-დასავლეთის საზღვრების უშიშროებას, თქვენ თავდადებული მუშაობით დახმარება გაუწიეთ გმირულ წითელ არმიას ჩვენი სამშობლოს მტრების განადგურების საქმეში.

დიდია თქვენი პასუხისმგებლობა ქვეყნის ერთერთი უდიდესი საარსებო ცენტრის მომსახურებისათვის. ლენინგრადისა და მოსკოვის კვანძების მუშაობა სამაგალითო უნდა იყოს საბჭოთა კავშირის ყველა რკინიგზელისათვის.

ჩვენ, მოსკოვის რკინიგზის კვანძის მუშაკები და სტახანოველები და პარტიული ტერიტორიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, შევიკრიბენით რა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტში 1940 წლის 11 თვის მუშაობის შედეგების განსახილველად, წინადადებით მოგმართავთ ჩაებათ სოციალისტურ შეჯიბრებაში რკინიგზის ტრანსპორტის სანიმუშო მუშაობისათვის.

გავაჩაღოთ შეჯიბრება ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის, სხვადასხვა გვარეობის საქონლის დატვირთვის დავალებათა მტკიცედ დაცვისათვის, ყველა სადგურსა და კლიენტურის მისასვლელ ლიანდაგებზე ვაგონების გაცდენის გადაჭრით შემცირებისათვის.

ვკისრულობთ აგრეთვე უზრუნველვყოთ მატარებელთა ზუსტად მიმოსვლა ზამთრის პირობებში, გადასაცემი მატარებლების მოძრაობის გრაფიკის მტკიცედ დაცვა ყველა სადგურზე და კვანძებში, არ დავუშვათ შესასვლელ სამაფორებთან მატარებლების დაგვიანების არცერთი შემთხვევა, სანიმუშოდ შევასრულოთ გზათა სახალხო კომისარიატის მარეგულირებელი დავალებანი ცარიელი ვაგონების ჩაბარების შესახებ.

ჩვენ ამოცანად ვისახავთ სავსებით აღმოვფხვრათ ავარიები და წუნი მუშაობაში, უზრუნველვყოთ ორთქლმავლების შეუფერხებელი მუშაობა, არ დავუშვათ მათი გაფუჭება და მიმოსვლათ შორის სარემონტოდ დაყენება, გავაუმჯობესოთ ხარისხობრივი მაჩვენებლები, დავაჩქაროთ ორთქლმავლებისა და ვაგონების მიმოქცევა, გავადიდოთ ტექნიკური და საუბნო სისწრაფე, მივაღწიოთ სათბობი მასალის მნიშვნელოვან ეკონომიას.

ვალდებულებას ვკისრულობთ აღმოვფხვრათ სამგზავრო მატარებლების, განსაკუთრებით საგარეუბნო მიმოსვლის მატარებლების დაგვიანება, უზრუნველვყოთ მგზავრთა კულტურული მომსახურება.

ვებმებით, რა თქვენთან სოციალისტურ შეჯიბრებაში, ჩვენ დავნერგავთ კულტურასა და გეგმიანობას მუშაობაში, უზრუნველვყოფთ ტექნოლოგიური დისციპლინის მტკიცედ დაცვას მძიმავე შემადგენლობის რემონტის, ლიანდაგის მიმდინარე მოვლა-შენახვისა და მატარებელთა მოძრაობის ორგანიზაციის საქმეში, მივაღწევთ სამეურნეო ანგარიშის, თვითეული სამეურნეო ერთეულის რენტაბელობის განმტკიცებას, განუწყვეტლივ გავაუმჯობესებთ წარმოების ძირითად საშუალებათა შენახვასა და გამოყენებას.

იმისათვის, რომ წინ ვიაროთ, ჩვენ ყოველდღიურად და დაჟინებით უნდა განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა ტრანსპორტის ყველა რგოლში, განუხრელად უნდა შევასრულოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებანი, ყოველთვიურად, უნდა გავავრცელოთ ტრანსპორტზე სტახანოველ-კრივონოსელი მუშაობის გამოცდილება, აღვზარდოთ ახალი სტახანოველ-კრივონოსელები რკინიგზის მეურნეობის ყველა დარგში.

ამ ვალდებულებათა შესრულება მეტწილად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად გაუწევენ ყოველდღიურ დახმარებას პარტიული ტერიტორიული და საბჭოთა ორგანიზაციები რკინიგზის ტრანსპორტს. ვალდებულებას ვკისრულობთ ყველანაირად განვამტკიცოთ რკინიგზელთა კავშირთორთერთობა პარტიულ ტერიტორიულ და საბჭოთა ორგანიზაციებთან და საერთო ძალებით შევასრულოთ მთლიანად ნაკისრი ვალდებულებანი.

ღირსების საქმეა მივაღწიოთ ამ შეჯიბრებაში ისეთ წარმატებებს, რომ დავიმსახუროთ ხალხთა ბელადის, რკინიგზელთა დიდი მეგობრის — ამხანაგ სტალინის ქება.

რკინიგზელთა მებრძოლი ხელმძღვანელის, ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის მიერ დარაზმული, მოსკოვისა და ლენინგრადის რკინიგზელები, რომლებიც ყოველდღიურად გრძნობენ დიდი სტალინის ყურადღებასა და დახმარებას, სოციალისტური შეჯიბრებისას ახალ გამარჯვებებს მიაღწევენ სოციალისტური ტრანსპორტის შემდგომი აღმავლობისა და აყვავების და სსრ კავშირის სამეურნეო და სამხედრო ძლევამოსილების განმტკიცების საქმეში. (საკდესი).

გეგმების შესრულება

მცხეთა, 22 დეკემბერი (საკდესი). წელს მცხეთის რაიონში 200 ჰექტარი ხეხილის ბაღი უნდა გაშენებულიყო, აქედან გაზაფხულზე მხოლოდ 82 ჰექტარი გაშენდა. ამჟამად კი ხეხილის გაშენების წლიური გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით. დარგულია 202 ჰექტარი ხეხილი. კოლმეურნეობებმა ვალდებულება აიკისრეს, რომ დეკემბრის დამლევამდე კიდევ 50 ჰექტარზე მეტ ხეხილს გააშენებენ.

ფოთელწყაროს. შირაქის მტს-მა 21 დეკემბრისათვის წლიური საწარმოო გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, მსუბუქ ხვნაზე გადაყვანით, ნაცვლად 35.330 ჰექტარისა, მოხნულია 35.799 ჰექტარი.

მტს-ის მიერ მზრალად ხვნის გეგმა შესრულებულია 101,6 პროცენტით, ნაცვლად 3000 ჰექტარისა მოხნულია 3056 ჰექტარი.

ამჟამად, ტრაქტორების რემონტთან ერთად, მიმდინარეობს შავი ანეულის ხვნა.

გეგეჭკორი. გეგეჭკორის მტს-მა 20 დეკემბრისათვის 100 პროცენტით შეასრულა მზრალად ხვნის გეგმა, მოხნულია 1000 ჰექტარი. ხვნა გრძელდება.

მზრალად ხვნასთან ერთად გაცხოველებით მიმდინარეობს ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანა-იარაღების რემონტი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲡᲗᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ

სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარმა ამხ. ნ. მ. რიჩკოვმა და საბჭოთა კავშირის პროკურორმა ამხ. ვ. მ. ბოჩკოვმა სასამართლოებსა და საგამომძიებლო ორგანოებს მისცეს მითითება იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა ხდებოდეს იმ პირთა პასუხისგებაში მიცემა, რომლებიც ტექნოლოგიურ დისციპლინას არ დაიცავენ მანქანათმშენებლობის ქარხნებში.

ქარხნების დირექტორები, მთავარი ინჟინრები და მთავარი ტექნოლოგები, რომლებიც ტექნოლოგიურ დისციპლინას დაარღვევენ, სამართალში უნდა იქნან მიცემულნი, თანახმად რუსეთის სფსრ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 110,111, ან სხვა მუხლებისა თანამდებობრივი დანაშაულის შესახებ, იმის მიხედვით, თუ რა ხასიათისაა დანაშაული.

ამ კატეგორიის საქმეები გამოძიებულ უნდა იქნას 10 დღის ვადაში და სასამართლებმა 5 დღეში უნდა განიხილონ. (საკდესი).

შინაგანაწესები საშაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებსა და სასწავლებლებში

შრომითი რეზერვების მთავარმა სამმართველომ დაამტკიცა დროებითი შინაგანაწესები საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებისა, სახელოსნო სასწავლებლებისა და რკინიგზის სასწავლებლებისათვის.

ამ წესების თანახმად, მოსწავლეებს ევალებათ მუშაობის დაწყებამდე 10 წუთით ადრე გამოცხადდნენ სწავლების ადგილზე. სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში გაკვეთილის ხანგრძლივობა 50 წუთი იქნება. დადგენილია მოსწავლეთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს შორის ურთიერთდამოკიდებულების წესი, მოსწავლეთა ვალდებულება მუშაობის დროს და საერთო საცხოვრებლებში უოფაქცევის წესები.

საერთო საცხოვრებლებში მყოფი მოსწავლეები უნდა დგებოდნენ დილის 6 საათსა და 30 წუთზე — 7 საათზე და უნდა იძინებდნენ — 23 საათზე. თვითეულ სასწავლო ჯგუფში მოსწავლეთაგან დაინიშნება მამასახლისი.

ყველგან უნდა მოეწყოს კულტურულ-საგანმანათლებლო კომისიები და თვითმოქმედების სხვადასხვა წრეები. (საკდესი).

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ ᲒᲐᲗᲣᲛᲨᲘ

უკანასკნელი ცნობები

ᲘᲜᲒᲚᲘᲡ-ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲝᲛᲘ

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 23 დეკემბერი (საკდესი). ოფიციალური ცნობით, გუშინ, გათენებისას, მტრის თვითმფრინავმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო დასავლეთ შოტლანდიის ერთერთ პუნქტში. ბომბარდირებამ უმნიშვნელო ზარალი გამოიწვია. დღისით გერმანიის ავიაციას ინგლისში არავითარი აქტივობა არ გამოუჩენია.

22 დეკემბერს, ღამით, ყუმბარები დაყარეს უმთავრესად ჩრდილოეთ-დასავლეთ ინგლისის ერთერთ ქალაქს. ამ ქალაქზე თავდასხმა გაფთრებული ხასიათისა იყო და რამდენიმე საათს გრძელდებოდა. ქალაქში ბევრ ადგილას ხანძარი გაჩნდა, რამაც სერიოზულად დააზიანა სხვადასხვა შენობა და სავაჭრო საწარმოები.

მსხვერპლის შესახებ ზუსტი ცნობები ჯერჯერობით არ არის.

ყუმბარები დაუშინეს აგრეთვე მდინარე მერსეის ველის რაიონს. მსხვერპლი და მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა. სამხრეთ ინგლისში, მტრის ავიაციის თავდასხმის შედეგად, დანგრეულია რამდენიმე საცხოვრებელი სახლი.

ღამით ჩამოგდებულ იქნა გერმანიის ორი ყუმბარმშენი.

ინგლისის ავიაციამ 22 დეკემბერს, ღამით ახალი თავდასხმა მოაწყინა დასავლეთ გერმანიის სამხედრო ობიექტებზე, მათ შორის მანჰაიმზე.

როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გუშინ გათენებისას, ინგლისის სანაპირო თავდაცვის ავიაცია თავს დაესხა საზღვაო ბაზას ვილჰელმსჰაფენს გერმანიაში და გერმანიის ბაზებს ბრესტსა და ლორიანში (საფრანგეთი). 21 დეკემბერს, ღამით, სანაპირო თავდაცვის სხვა თვითმფრინავებმა ნორვეგიაში ყუმბარები დაუშინეს ოსლო-ბერგენის რკინიგზას. რკინიგზის ხაზის რამდენიმე პუნქტი დაზიანდა.

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 23 დეკემბერი (საკდესი). უმაღლესი სარდლობა იუწყება: გუშინ, დღისით, გერმანიის ავიაციის მოქმედება საერთოდ საზვერი ფრენით განისაზღვრა. ერთმა მზვერავმა თვითმფრინავმა დაბლა ფრენისას ყუმბარები დაუშინა ინგლისის ფორტ ვილიამის ალუმინის უდიდეს ქარხანას ჩრდილოეთ შოტლანდიაში. ყუმბარები ქარხანას პირდაპირ მოხვდა, რამაც იგი სერიოზულად დააზიანა.

22 დეკემბერს, ღამით, გერმანიის მძიმე ყუმბარმშენთა დიდმა შენაერთებმა წარმატებით დაუშინეს ყუმბარები მნჩესტერის მნიშვნელოვან სამრეწველო ნაგებობებს. ქარხნებსა და საწყობებში ბევრგან დიდი ხანძარი გაჩნდა. ჩვენმა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა აგრეთვე ლონდონის, ბრისტოლის, ლივერპულის, საუთჰემპტონის, პორტსმუტისა და სხვა ქალაქების სამხედრო მრიგ მნიშვნელოვან ობიექტებს.

ინგლისის თვითმფრინავებმა 22 დეკემბერს, ღამით, რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს გერმანიის დასავლეთ საზღვრისპირა ოლქის ზოგი

აღგილობრივი საბჭოების დეპუტატთა მუშაობა

დეპუტატი კოლმეურნეობაში

გორი, („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). 24 დეკემბერი თენდებოდა. სოფელ ოხერას მცხოვრებთა შორის სიხარული და აღფრთოვანება სუფევდა. ადგილობრივი სკოლის ეზოში ჯგუფ-ჯგუფად შედიოდნენ ამომრჩევლები. უცბად წრე შეკრეს და ცეკვა-სიმღერა გააჩაღეს. ეს მანამ არ შეწყვეტილა, სანამ არ გაისმა მოწოდება: ხმის მიცემას ვიწყებთო.

ყველა ამომრჩეველმა მოიხადა თავისი მოვალეობა, ხმა მისცა რა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს... მშრომელთა დეპუტატების გორის რაიონული საბჭოს დეპუტატად არჩეულ იქნა ამხ. ანასტასოვი — პარტიის წევრი, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი, სოფელ ოხერას ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ერთი წელია, რაც ანასტასოვი ასრულებს ხალხის განაწესს. იგი გულწრფელად ემსახურება ხალხს, წარმატებით უღვება კოლმეურნეობას, გულისხმიერად ეპყრობა ამომრჩეველთა წინადადებებს.

უბედურმა შემთხვევამ კოლმეურნე ლუკაშვილს სახლი დაუწვა. მან დეპუტატ ანასტასოვს დახმარებისათვის მიმართა. ანასტასოვის შუამდგომლობით ლუკაშვილს მისცეს ფული და საჭირო სამშენებლო მასალა. მსგავსი დახმარება გაეწია აგრეთვე კოლმეურნე ალექსი ნონიკაშვილს, ჩოლო წითელარმიელის შ. ოქუაშვილის ოჯახს დეპუტატ ანასტასოვის ზრუნვის მეობებით კოლმეურნეობამ სახლი აუშენა.

ანასტასოვი იბრძვის იმისათვის, რომ სოფელში ლიკვიდირებულ იქნას წერა-კითხვის უცოდინარობა და მცირემცოდნეობა. მისი ინიციატივით გამოცოცხლდა სალიკვიდაციო სკოლების მუშაობა. უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლებისათვის გამოჰყვეს ოთხი ოთახი, სადაც მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობს.

სოფელ ოხერაში ყოველივე კარგის წამომწყები დეპუტატი ანასტასოვი არის. მისი ენერგიული ხელმძღვანელობით ოხერას კოლმეურნეობამ დიდად გაზარდა შაქრის ჭარხლის და ყურძნის მოსავალი, მარტო ფულადი შემოსავალი წელს ნახევარ მილიონს აჭარბებს. დეპუტატის მეთაურობით წელს აგებულ იქნა კოლმეურნეობის კანტორა, განსაზოგადოებული მუშასაქონლისათვის სინათლიანი ბოსელი, კოლმეურნეობის ბიბლიოთეკისათვის ერთი ოთახი. გაყვანილ იქნა ორ კილომეტრზე სასოფლო მნიშვნელობის გზა. კოლმეურნეებმა დაიდგეს რადიოები, ახლა გაჰყავთ ელექტრონი.

როდესაც თავის წარმატებებს თვალს ავლებენ, ოხერას ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრები სიამაყით ამბობენ, — ჩვენ სასახელო დეპუტატი გვყავსო. სრული სიმართლეა. დეპუტატი ანასტასოვი ღირსეულად ამართლებს ამომრჩეველთა ნდობას.

ს. ყურაშვილი

დეპუტატის დღიურიდან

15 ნოემბერი, 1939 წ.

ეს დღე ჩემთვის დაუვიწყარი იქნება. სანამ ცოცხალი ვიქნები, ყოველთვის აღვინიშნავ ამ დღეს, როგორც დიდსა და ღირსშესანიშნავს ჩემს ცხოვრებაში. ამ დღეს თბილისის მეექვსე საქკერავო ფაბრიკის მუშებმა წამოაყენეს ჩემი კანდიდატურა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე. გადმომცეს: წინადადება ერთხმად მოიწონეს და დადგენილება კანდიდატთა სიაში შენი შეტანის შესახებ ერთხმად მიიღესო. გმადლობთ, ამხანაგებო!

25 დეკემბერი, 1939 წ.

24 დეკემბერი ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღე იყო. ეს იყო მართლაც საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღე... უკვე შეჯამებულია არჩევნების შედეგები. მთელმა მოსახლეობამ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა და მით უფრო საამაყოა დეპუტატობა, რომ მას მთელი ხალხი არჩევს. რა დიდებულია ჩვენი ქვეყანა და რა დიდებული ამბები ხდება აქ. ამა, სად, როელ ბურჟუაზიულ ქვეყანაში არის შესაძლებელი ხალხის ასეთი ერთსულოვნობა... დიდი სტალინის შემოქმედებითი გენიის ნაყოფია დიადი საბჭოთა ხალხის ეს ერთსულოვნება და მთელი ჩვენი ბედნიერი დღევანდელობა... მაშ ასე, 24 დეკემბრიდან მე დეპუტატი ვარ, ხალხის მსახური...

14 ივნისი, 1940 წ.

აუარებელი საქმეებით ვარ დატვირთული, ძაგრამ, უცხაურია, დაღლილობას არასოდეს ვგრძნობ. ჩემს სადეპუტატო წიგნაკში ახლა, მაგალითად, ჩაწერილი მაქვს 7 საკითხი... ამ დღეებში ერთერთ ჩემს ამომრჩეველთაგანს ეფექტური დახმარება აღმოვუჩინე და ამით დიდ კმაყოფილებას განვიცდი: ანტონ ხაჩატუროვი ცხოვრობს ენგელსის ქ. № 15, მისი ოთახის ერთადერთი ფანჯარა ჭუჩის კედ გამოდის. ამასწინათ დიდი ნიაღვრობისას (ძაბაში), მისი ოთახი ამ ფანჯრიდან შესულ წყალს აუვსია. ითხოვდა სხვა ბინის მიცემას, ან ამ ოთახისავე შეკეთებას. მოვიდა ჩემთან, წვაყენე ყველგან, სადაც საჭირო იყო, და მივაღწიეთ იმას, რომ რაიონის სამშენებლო სამმართველომ მისი ეს ოთახი სრულ წესრიგში მოიყვანა. დღეს ხაჩატუროვი მრავი და მადლობა მითხრა.

24 ივლისი, 1940 წ.

ამ რამდენიმე დღის წინათ ჩემთან მოვიდა მოქალაქეთა მთელი ჯგუფი. ჩიხლაძის ქუჩაზე ცხოვრობთო, მითხრეს, შენი ამომრჩევლები ვართ და მოგვებმარეთ, რომ ჩვენს ქუჩაზე ელექტრონები შეაკეთონო. რაისაბჭომ ამ საკითხის გამოსარკვევად კომისია გამოჰყო: მე წავედი კომისიის და ვნახე, რომ ჩიხლაძის ქუჩაზე ელექტრონებს დიდხანია შეკეთება სჭირდებოდათ, მაგრამ არავის ძიუქცვია ეს რადღაც. დღეს უკვე დაამთავრეს ელექტრონების წესრიგში მოყვანა. სამუშაო კიროვის რაისაბჭოს სიგზაო სექტორმა შეასრულა.

3 აგვისტო, 1940 წ.

ასკანის ქუჩის მესამე ჩიხის მცხოვრებლებს გამოუგზავნიათ ორი კაცი — ე. ქავაძეცა და ა. მაკინიანი. მითხრეს—ჩვენი ჩიხის მცხოვრებები ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ განსაკუთრებით ცუდ ამინდში სახლებში ძლევა-ძლივობით შეღიდვართო. სახლებთან მისასვლელი გზა არ გვარგა. საჭიროა კიბეების გაკეთება, მაგრამ არავინ ამ საქმეს ხელს არ ჰკიდებსო. ჩემს მოგვლებად ჩავთვალე დავხმარებოდი მათ. რაისაბჭოს ტექნიკოსთა კომისიამ, რომელიც აქ წავაყვანე, გადაწყვიტა კიბეების გაკეთება. რაისაბჭოს პრეზიდიუმმაც დამხარება აღმოგვიჩინა და ახლა უკვე დაწყებულია კიბეების კეთება.

19 სექტემბერი, 1940 წ.

ასეთ შემთხვევას ჰკვრნდა დღეს ადგილი: მოქ. მაისურაძეს მისცეს ბინა ახოსპირელის ქ. № 4 სახლში და როდესაც სათანადო დოკუმენტები უნდა გაეფორმებინათ, მის მიმართ აღმაშფოთებელი უხეშობა გამოუჩენია სამმართველოს ზოგ მუშაკს. თბილისის საბჭოს აღმასკომმა მოისმინა ჩემი დასკვნა ამ საკითხზე და ეს უღირსი მუშაკებიც შესაფერისად დასაჯეს.

5 ოქტომბერი, 1940 წ.

დღეს დავამთავრე მუშაობა იმის გამოსარკვევად, თუ როგორ ეხმაურებიან სახლთა სამმართველოები მშრომელთა საჩივრებს და განცხადებებს. მრავალ დოკუმენტს აქვს ადგილი. სახლთა მმართველობები გერ მეშაობენ ისე, როგორც ეს საჭიროა. უკვე დავწერე ჩემი მოსაზრებები ამ საკითხზე, რაც გამოყენებული იქნება საბჭოს უახლოეს სესიაზე მოსხენებისათვის. მე უნდა გამოვიდე სესიაზე ამ საკითხის შესახებ.

10 ოქტომბერი, 1940 წ.

კიროვის რაისაბჭოს აღმასკომის კედლის გაზეთის — „კიროველის“ რედაქტორად ვარ არჩეული. კედლის გაზეთში ფართო ადგილს ვუთმობთ აღმასკომის მოწოდებებს მუშაკების წერილებს გამოცდილების ურთიერთისათვის გაზიარების მიზნით. ამან სათანადო შედეგიც მოგვცა. აღმასკომის აპარატის მუშაობის აწყობა გაუმჯობესება ეტყობა. მაშასადამე, კედლის გაზეთის მუშაობა სწორი გეზით არის წარმართული. ამის შესახებ ყველა ლაპარაკობს...

21 ნოემბერი, 1940 წ.

მოქ. სარქისოვი, რომელიც თურმე ტუბერკულოზითაა ავად, საჭიროებს დახმარებას... იგი ცხოვრობს ა.-ქ. ფედერაციის ქუჩაზე № 30. რა დახმარება შეეძლო? წავედი საქმის კომისიაში, შევამოწმეს ყველა მისი საბუთები და შემდეგ აღვძარი შუამდგომლობა მისი თხოვნის დაკმაყოფილების შესახებ. ამხ. სარქისოვი დაკმაყოფილებულია...

5 დეკემბერი, 1940 წ.

ოთხ სტალინური კონსტიტუციის დღეა. დიადი დღე, დიადი დღესასწაული. ახლოვდება ჩემი დეპუტატად არჩევის წლისთავი — 24 დეკემბერი. დროა შევაჯამო, თუ რა გავაკეთე. როგორც დეპუტატმა 104 სხვადასხვა საკითხის მოსაწესრიგებლად მოსულან ჩემთან ამომრჩევლები. უმეტესობა ამ საკითხებისა მოგვარებულია ისე. როგორც ამომრჩევლებს სურდათ... ამიერიდან ასე მოვიქცევი: შემოვიღებ „დეპუტატის ჟურნალს“. სათანადო გრაფებში ჩავწერ ვინ რა საკითხზე და როდის მოვიდა. შემდეგ ავწონ-დავწონ, თუ რა ბედი ეწია ამ საკითხების მოწესრიგებას, ვის მივმართე, რა პასუხი მივიღე და ან საბოლოო შედეგი როგორი იყო...

ამომწერილია თბილისის საბჭოს დეპუტატ ლ. იოსელიანის დღიურიდან.

დეპუტატის საწარმოო წარმატება

ჟიათურა, (საქ.სესი). მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატი სერგო ოტინაშვილი სტალინის სახელობის მაღაროში მარგანეცის, ამწეწენდად მუშაობს. იგი ოცაკალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული ნიკოპოლის მაქსიმოვის სახელობის შახტის მარგანეცის მნგრეველ პაეიუკთან და ანხორციელებს კბენის პოლიტიკას. ამერიკა ინგლისის სასარგებლოდ მოქმედებს, და ეს მას კაზუისტურად მიაჩნია ისეთ რამედ, „რაც თითქოს შეესაბამება საერთაშორისო სამართალს“. ბერლინის წრეების ეს განცხადება უკვე იმიტომ არის სერიოზული ყურადღების ღირსი, რომ აქ ესოდენ გარკვეულად პირველად გამოთქვამენ აზრს იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მიმდინარეობს, აგრეთვე აღნიშნავენ, რომ ბერლინი განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებს თვალს ამ მოლაპარაკებას. ინგლისის მინისტრ კროსის გამოსვლა აძლიერებს გერმანიის ინტერესს იმისადმი, თუ როგორ გამოეხმაურებიან ამერიკის შეერთებული შტატები ინგლისის ცდას — მიიღოს ამერიკისაგან დახმარება“.

რიძ-სმიგლის გაქცევა

როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, პოლონეთის მარშალი რიძ-სმიგლი, რომელიც 1939 წლის სექტემბერში რუმინეთს გაიქცა და რამდენიმე თვის წინათ ინტერნირებულ იქნა რუმინეთის მთავრობის მიერ, კვლავ გაიქცა. 18 დეკემბერს დილით გასეირნების დროს რიძ-სმიგლის მიუახლოვდა ავტომობილი და, სანამ პოლიციელები ხელის შეშლას მოასწრებდნენ, წაიყვანა პოლონეთის მარშალი.

ფიქრობენ, რომ რიძ-სმიგლმა ან საზღვარზე გადასვლა და რუმინეთიდან წასვლა მოახერხა, ან ბუქარესტისაკენ გაემართა, სადაც ფარული თავშესაფარი იპოვა. (საკ.სესი).

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 22 დეკემბერი (საკ.სესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობას: 20 დეკემბერს ღამით გერმანიის ყუმბარმშენთა დიდმა შენაერთებმა წარმატებით დაუშინეს ყუმბარები ლივერპულს. გარდა ამისა, გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს სამხედრო მნიშვნელობის ობიექტებს ლონდონში, ბრისტოლსა და საუთჰემპტონში და ზოგიერთ აეროდრომს. 21 დეკემბერს საღამოს გერმანიის შორსმსროლელი ქვემეხები წარმატებით დაუშინეს დუვრის ნავსადგურს და მტრის გემების ქარავანს, რომელიც ინგლისის სანაპიროს ახლოს მიდიოდა. 21 დეკემბერს ღამით კვლავ თავს დაესხა ლივერპულს გერმანიის დიდძალი მძიმე ყუმბარმშენი. ბევრგან, უმთავრესად დოკებში, შემჩნეულია დიდი ხანძარი. იტალიის ყუმბარმშენებმა წარმატებით დაუშინეს ყუმბარები პარვიჩის სანავსადგურო ნაგებობებს.

21 დეკემბერს ღამით მტრის თვითმფრინავებმა ფუგასური და ცეცხლგამჩენი ყუმბარები ჩამოჰყარეს გერმანიის ზოგიერთ რაიონში. დასავლეთ გერმანიის ორ ქალაქში უმნიშვნელოდ დაზიანებულია შენობები. სამხედრო მნიშვნელობის ობიექტები არ დაზიანებულა. გუშინ გერმანიის ავიაგამანადგურებლებმა მტრის ორი ყუმბარმშენი ჩამოაგდეს. გერმანიის ავიაციამ ერთი თვითმფრინავი დაკარგა.

ოპერაციები ზღვაში

ლონდონი, 21 დეკემბერი (საკ.სესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, 13 დეკემბერს ინგლისის წყალქვეშა ნავი „ტრუენტი“ თავს დაესხა იტალიის გემთა ქარავანს, რომელიც ბალრაგით მიდიოდა სპარტივენტოს კონცხის (იტალია) მახლობლად. ერთი სავაჭრო გემი ჩაძირულ იქნა, მეორე გემიც, როგორც სჩანს, ჩაიძირა. მეორე დღეს წყალქვეშა ნავმა „ტრუენტმა“ კალაბრიის სანაპიროსთან ჩაძირა იტალიის დიდი ტანკერი.

ნიუ-იორკი, 21 დეკემბერი (საკ.სესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ინგლისის გემს „ქარლტონს“ გუშინ ეირეს დასავლეთ სანაპიროდან 300 მილის დაშორებით თავს დაესხა წყალქვეშა ნავი.

მეორე გემს, რომლის სახელწოდება გამოურკვეველია, წყალქვეშა ნავი თავს დაესხა უკვე ეირეს სანაპიროს მახლობლად.

საჰაერო თავდასხვა ირლანდიაზე

ნიუ-იორკი, 21 დეკემბერი (საკ.სესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, დუბლინში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ გუშინ რომელიღაც სახელმწიფოს თვითმფრინავებმა ორი ყუმბარა ჩამოაგდეს დან ლოხეირში და ორიც — მონახანის სავრაფოში. აფეთქების შედეგად დაჭრილია ორი კაცი.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 22 დეკემბერი (საკ.სესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ გერმანიის ავიაციის მოქმედებანი 21 დეკემბერს ღამით ძირითადად კვლავ მიმართული იყო უმთავრესად ლივერპულისა და მდინარე მერსეის რაიონის წინააღმდეგ. თავდასხმა საღამოთი დაიწყო, ფართო მასშტაბით სწარმოებდა და გათენებამდე გაგრძელდა. ბევრგან გაჩნდა ხანძარი, რომელიც ლიკვიდირებულ იქნა ღამის განმავლობაში. დაზიანებულია რამდენიმე სავაჭრო შენობა და მრავალი საცხოვრებელი სახლი. მოსახლეობაში მოკლული და დაჭრილია რამდენიმე კაცი. ლონდონის რაიონში მცირე რაოდენობით ჩამოჰყარეს ყუმბარები. დაზიანდა საცხოვრებელი სახლები. მოსახლეობაში არიან მსხვერპლი. გარდა ამისა, ყუმბარები ჩამოჰყარეს ინგლისის სხვადასხვა პუნქტში. ბომბარდირებამ დაზიანა საცხოვრებელი სახლები, ადამიანებს მსხვერპლი უმნიშვნელოა.

21 დეკემბერს გათენებისას მტრის რამდენიმე ერთეულმა თვითმფრინავმა ყუმბარები ჩამოაგდო ინგლისის აღმოსავლეთ ნაწილის ერთმანეთს დაშორებულ პუნქტებში. ბომბარდირებისაგან გამოწვეული ზარალი უმნიშვნელოა. დღის საათებში მტრის ავიაციის მოქმედება შეზღუდული იყო. ლონდონის რაიონში ჩამოყრილმა ყუმბარებმა საცხოვრებელი სახლები დააზიანა. მსხვერპლი უმნიშვნელოა. დღის განმავლობაში მოსპობილი იქნა მტრის ორი თვითმფრინავი.

21 დეკემბრის ღამით ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს სამხედრო ობიექტებს ჩრდილოეთ იტალიაში, გერმანიაში და გერმანიის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

გერმანიის ბიულეტენი „დინსტ აუს დოიჩლანდის“ კროსის განცხადების შესახებ

ბერლინი, 22 დეკემბერი (საკ.სესი). ბიულეტენმა „დინსტ აუს დოიჩლანდმა“ დაბეჭდა შემდეგი ცნობა: „ბერლინში დიდი ყურადღება მიიპყრო ინგლისის ნაოსნობის მინისტრ კროსის განცხადებამ იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატების ნავსაყუდლებში მტრის მრავალი გემი დგას. ამ განსაკუთრებული ინტერესით მოელიან, თუ როგორ გამოეხმაურებიან ამერიკის შეერთებული შტატები ბრიტანეთის მინისტრის არაორჭოფულ ქარაგმას. ამასთან დაკავშირებით, ბერლინის პოლიტიკური წრეები აცხადებენ, რომ გერმანიის მთავრობა განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებს თვალს ამ მოლაპარაკებას. ინგლისის მინისტრ კროსის გამოსვლაშეკრება აძლიერებს გერმანიის ინტერესს იმისადმი, თუ როგორ გამოეხმაურებიან ამერიკის შეერთებული შტატები ინგლისის ცდას — მიიღოს ამერიკისაგან დახმარება“.

ინგლისის ნაოსნობის მინისტრ კროსის განცხადება

ნიუ-იორკი, 21 დეკემბერი (საკ.სესი). ასოშიეიტედ პრესის საგენტოს ლონდონელი კორესპონდენტის ცნობით, ინგლისის ნაოსნობის მინისტრმა კროსმა ამერიკელ კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა, რომ გერმანიის წინააღმდეგ ნამდვილი ბრძოლა დაიწყება 1941 წელს. კროსმა იმედი გამოსთქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ინგლისს დახმარებას გაუწევენ მომავალ წელს. კროსმა აღნიშნა, რომ ამერიკის ახალი გემების მშენებლობა ერთი წლის განმავლობაში ფართო მასშტაბს ვერ მიაღწევს და იმედი გამოსთქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „ინგლისს დაუთმობენ ახლანდელი მათი ფლოტის რაიმე ნაწილს“. დასასრულს, კროსმა განაცხადა, რომ ინგლისს სურს აგრეთვე „მიიღოს მტრის იმ გემთა რაიმე ნაწილი“, რომლებიც ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატების ნავსადგურებში იმყოფებიან.

გერმანია-იუგოსლავიის ეკონომიური მეთანხმება

ბელგრადი, 22 დეკემბერი (საკ.სესი). როგორც იუგოსლავიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გუშინ ბელგრადში ხელი მოაწერეს რამდენიმე ეკონომიურ შეთანხმებას, რომლებიც შედეგად მოჰყვა გერმანიის ეკონომიურ დელეგაციასთან მოლაპარაკებას. დადებულია შეთანხმებანი სარკინიგზო ტვირთბრუნვის შესახებ, კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და სხვ.

ხმელთაშუა ზღვისა და აფრიკის ფრონტზე

ომი აფრიკაში

ლონდონი, 22 დეკემბერი (საკ.სესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 20 დეკემბერს ღამით ინგლისის ყუმბარმშენები თავს დაესხნენ იტალიის ერთერთ უმნიშვნელოვანეს აეროდრომს ლიბიის სანაპირო ზოლში. თვითმფრინავთა პირველ ჯგუფს თავდასხმის დროს ყუმბარები პირდაპირ მოხვდა სამ ანგარს, სადაც ხანძარი გაჩნდა და აფეთქება მოხდა. მტრის 11 თვითმფრინავი, რომელსაც ცეცხლი გაუჩნდა, მოსპობილია; რამდენიმე თვითმფრინავი დაზიანებულია. ინგლისის ყუმბარმშენთა მეორე შენაერთის თავდასხმის დროს აეროდრომზე შვიდი ყუმბარა პირდაპირ მოხვდა ანგარებს ან მათ ახლოს დაეცა. ამჯერად მოსპობილ იქნა 8 თვითმფრინავი, რამდენიმე თვითმფრინავი დაზიანდა.

რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, რომ 19 დეკემბერს ღამით ინგლისის ყუმბარმშენებმა წარმატებით დაუშინეს ყუმბარები ბრინდიზის (იტალია) ნავთსაცავებსა და რკინიგზას. მიუხედავად ცუდი ხილვადობისა, ყველა ყუმბარა მიზანს მოხვდა. აფეთქების შედეგად ბევრგან ხანძარი გაჩნდა. საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდებულ იქნა მტრის სამი თვითმფრინავი. იტალიის აღმოსავლეთ აფრიკაში ინგლისის ავიაცია თავს დაესხა გურას, მაი-ადაგას, მეტემს, ასაბსა და ტესენეის. როდესაც ესკადრილიამ, რომელიც თავს დაესხა მეტემსა და ტესენეის, ყუმბარები დაუშინა მტრის შეჯგუფებულ ჯარს და მიწაზე მყოფ თვითმფრინავებს.

ლონდონი, 22 დეკემბერი (საკ.სესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ იტალიის ავიაციამ დასავლეთ უდაბნოს რაიონში პირველი 12 დღის განმავლობაში 144 თვითმფრინავი დაკარგა. ინგლისის ავიაციამ ამავე ხნის განმავლობაში 13 თვითმფრინავი დაკარგა.



ნიუ-იორკი, 22 დეკემბერი (საკ.სესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ზღვიდან ბარდიის განუწყვეტელი ბომბარდირების შედეგად ბევრგან დიდი ხანძარი გაჩნდა. ინგლისის სამხედრო გემები სანაპიროს უშენენ და ხელს უშლიან იტალიელებს დაიხიონ ტობრუკის მიმართულებით. იტალიის სანაპირო ბატარეები თავის მხრივ ზარბაზანს უშენენ ინგლისის გემებს. იტალიის თვითმფრინავებმა რამდენჯერმე სცადეს ინგლისელებზე იერიშის მიტანა. ინგლისის ერთმა გემმა იტალიის სამი ბატარა გემი ჩასძირა

საბერძნეთის არმიის უმაღლესი სარდლობის კომუნიკე

ათენი, 21 დეკემბერი (საკ.სესი). საბერძნეთის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება: წარმატებითი ბრძოლის შემდეგ მტრის ახალი პოზიციები დავიკავეთ. წამოყვანილია ტყვეები. ხელთ ვიგდეთ დიდძალი სამხედრო მასალა და ორი საარტილერიო ბატარეა.

იტალიის ავიაციამ 20 დეკემბერს ყუმბარები დაუშინა კუნძულ ლეფკასს. მსხვერპლი და ზარალი არა ყოფილა.

იჭალიის საარდლობის ცნობა

რომი, 22 დეკემბერი (საკ.სესი). სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს იტალიის სარდლობის ცნობას: კირენაიკის საზღვრისპირა ზონაში საარტილერიო სროლაა. იტალიის ერთერთმა სამხედრო გემმა სანაპიროზე სროლა აუტეხა მტრის მოტორიზებული ჯარის რაზმს. იტალიის ავიაციის შენაერთებმა მტრის შეიჯგუფებული ჯარის ძლიერი ბომბარდირება მოახდინეს. გარდა ამისა, იტალიის ავიაცია მთელი ღამის განმავლობაში ყუმბარებს უშენდა მტრის ერთი მიწინავე ბაზის სამხედრო ნაგებობებს. ბომბარდირებამ რამდენიმე ადგილას ხანძარი გამოიწვია. მტრის ყუმბარები დაუშინა ჩვენს ერთერთ საჰაერო ბაზას ტრიპოლიტანიაში.

საბერძნეთის ფრონტზე იტალიის ჯარის კონტრიერიშის საშუალებით, რასაც დახმარებას უწევდა არტილერია, მოგერიებულ იქნა მტრის იერიში. მტერმა დიდი ზარალი ნახა. 20 დეკემბერს ღამით და მთელი გუშინდელი დღის განმავლობაში იტალიის თვითმფრინავთა მრავალი შენაერთი წარმატებით უშენდა ყუმბარებს მტრის ჯარს, გზებს, რკინიგზებს, ბატარიებსა და სამხედრო ბაზებს. მრავალი საჰაერო შეტაკების დროს ჩამოგდებულ იქნა ინგლისის 11 თვითმფრინავი. 4 ჩვენი თვითმფრინავი ბაზაში არ დაბრუნებულა.

აღმოსავლეთ აფრიკაში არტილერია აქტივობას იჩენდა ინგლის-ეგვიპტის სუდანის საზღვართან. ჩვენმა ერთერთმა საჰაერო შენაერთმა რამდენჯერმე დაუშინა ყუმბარები მტრის ჯარს ინგლის-ეგვიპტის სუდანის ერთერთ პუნქტში.

ლენინური „ისკრის“ პირველი ნომრის გამოსვლის 40 წლისთავი

კოლექტიური პროპაგანდისტი, აგიტატორი და ორგანიზატორი

ლენინური „ისკრა“



ორმოცი წლის წინათ — 1900 საზღვარგარეთ გამგზავრებამდე, წლის 24 დეკემბერს — საზღვარგარეთ გამოვიდა საერთო-რუსულ არალეგალურ პოლიტიკურ გაზეთ „ისკრის“ პირველი ნომერი. მისი შემქმნელი იყო ვ. ი. ლენინი, ბოლშევიკური პარტიის დამფუძნებელი და ბელადი.

ლენინური „ისკრა“ იყო ახალი ტიპის გაზეთი, საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში იმ დრომდე არნახული: პირველი ბოლშევიკური გაზეთი—პროპაგანდისტი, აგიტატორი და ორგანიზატორი. ამ გაზეთმა მოამზადა პარტიის იდეური და ორგანიზაციული შემზიდროება.

ლენინმა „ისკრის“ ამოცანები განსაზღვრა როგორც რევოლუციური პროლეტარიატის მარქსისტული პარტიის აგიტატორისა, პროპაგანდისტისა და **ორგანიზატორისა.**

მხოლოდ მარქსისტული ტიპის საერთო - რუსულ პოლიტიკურ გაზეთს შეეძლო დაეძლია კუსტარულობა და წვრილბრივობა, გაეწვდურებინა „ეკონომისტები“ და გადაეღახა იდეური არევ-დარევა პარტიაში. „...მხოლოდ საერთო-რუსული არალეგალური გაზეთის საშუალებით შეიძლებოდა იმდროინდელ პირობებში პარტიის შეხმატკბილებული ბირთვის შექმნა, რომელსაც უნარი ექნებოდა გაეერთიანებინა უამრავი წრეები და ორგანიზაციები, მოემზადებინა იდეური და ტაქტიკური ერთიანობის პირობები და, ამრიგად საძირკველი ჩაეყარა ნამდვილი პარტიის შექმნისათვის“ (ი. სტალინი „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 79. მე-11 გამოცემა).

○

პროლეტარიატის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის, მარქსისტული პარტიის შექმნას, რომელიც წარმოადგენდა მუშათა მასობრივი მოძრაობის სოციალიზმთან შეერთებას, ხელს უშლიდნენ ოპორტუნისტები — „ეკონომისტები“. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მუშათა მთავარი ინტერესი მდგომარეობს მეწარმეებთან ეკონომიურ ბრძოლაში თავისი შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვისო. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საერთო-პოლიტიკურ ბრძოლას, „ეკონომისტების“ აზრით, ბურჟუაზია უნდა აწარმოებდეს. ამრიგად, „ეკონომისტებს“ სოციალ-დემოკრატიის მოღვაწეობა დაჰყავდათ ტრედ-უნიონისტურ პოლიტიკამდე — მეწარმეებთან და მთავრობასთან მუშების ეკონომიური ბრძოლის ორგანიზაციამდე, რეფორმებისათვის ბრძოლამდე. ჟარჰყოფდნენ რა პოლიტიკურ ბრძოლას და პოლიტიკურ აგიტაციას, „ეკონომისტები“ ანაარაღებდნენ პროლეტარიატს, აქცევდნენ მას ლიბერალური ბურჟუაზიის „მაჩანჩალად“.

ლენინურმა „ისკრამ“ გადამწყვეტი, პრინციპული ბრძოლა გააჩაღა „მაჩანჩალობის“ ამ იდეოლოგიასთან — ყოველგვარი ოპორტუნიზმის ლოგიკურ საფუძველთან. სოციალ-დემოკრატების პოლიტიკურ აგიტაციაში ლენინს ძირითად ადგილს მიაჩნდა ცარიზმის პოლიტიკური მხილება, თვითმპყრობელობის, პოლიციის, მოხელეებიც, ეკლესიის თვითნებობის პოლიტიკური მხილება.

პოლიტიკურ აგიტაციაში „ისკრია“ ამოცანებისა და სოციალ-დემოკრატიის მუშაობაში პოლიტიკურ მხილებათა როლის საკითხის ლენინური დაყენება წარმოადგენა მოქმედებაში ისტორიული მატერიალიზმის შემოქმედებითის გამოყენებაა. პროლეტარიატის იდეური პოლიტიკური აღზრდა, მუშათა მოძრაობაში მოწინავე იდეების შეტანა — ია რაში მდგომარეობდა ამოცანა.

○

დიდია „ისკრის“ როლი როგორც მარქსის მოძღვრების კოლექტიური პროპაგანდისტისა. „ისკრა“ ეწეოდა მარქსიზმის პროპაგანდას შეურიგებელ ბრძოლაში ნაროდნიკებთან, ესერებთან, წვრილბურჟუაზიულ ნაციონალისტებთან, „ეკონომისტებთან“.

„ეკონომისტები“ ქედს ხრიდნენ მუშების სტიქიური მოძრაობის წინაშე, უარჰყოფდნენ მუშათა მოძრაობაში რევოლუციური თეორიისა და რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელ როლს. ისინი უარჰყოფდნენ მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების საჭიროებას.

„ისკრის“ პირველივე ნომრებიდან ლენინი გაბედულად და განუხრელად ეწეოდა რევოლუციური თეორიის პროპაგანდას, პროლეტარიატის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის საჭიროების, კაპიტალისტური საზოგადოების დაღუპვის გარდუვალობის, სოციალისტური რევოლუციისათვის და პროლეტარიატის დიქტატურიათვის ბრძოლის საჭიროების პროპაგანდას.

ჯერ კიდევ 1900 წლის გაზაფხულზე, „ისკრის“ გამოსაცემად საბოლოო მიზნები და პარტიის უახლოესი მოთხოვნები.

პარტიის პროგრამის პროექტს, რომელიც „ისკრის“ რედაქციამ გამოაშუშავა და რომელიც 1902 წლის ივნისში გამოქვეყნდა გაზეთის მე-21 ნომერში, დიდი საპროპაგანდო მნიშვნელობა ჰქონდა. რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ნამდვილი მარქსისტული პროგრამისათვის ლენინისა და „ისკრის“ რედაქციის პრინციპულმა ბრძოლამ უზრუნველჰყო პროგრამის რევოლუციური ხასიათი. საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში ეს იყო პირველი პროგრამა, რომელიც შეიცავდა პუნქტს პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, რაც შეტანილ და მკაფიოდ ფორმულირებულ იქნა ლენინის დაჟინებითი მოთხოვნით, წინააღმდეგ პლეხანოვისა და მისი მომხრეებისა.

„ისკრის“ ყოველი ნომერი დიდ პროპაგანდისტულ მასალას აძლევდა სოციალ-დემოკრატებს. ლენინის რედაქტორული მუშაობა უზრუნველჰყოფდა სტატიების მაღალ თეორიულ დონეს. თვით ლენინის სტატიები განირჩეოდნენ აზრის საცხადითა და სიღრმით, მარქსის თეორიის პროპაგანდის მგზნებარებითა და დამაჯერებლობით.

○

ლენინური „ისკრა“ კოლექტიური აგიტატორის ბრწყინვალე ნიმუში იყო. გაზეთი თავის ფურცლებზე განუმარტავდა მუშათა კლასს მოსახლეობის სხვადასხვა კლასთა და ჯგუფთა ქცევის მიზეზებს, ამხელდა თვითმპყრობელობისა და მოხელეების თვითნებობას, მუდმივად რაზმავდა დემოკრატიას ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

„ისკრა“ ეხმაურებოდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისა და მუშათა საერთაშორისო მოძრაობის ყველა უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოვლენებს. მის ფურცლებზე იხატა: 1900—1903 წლების ეკონომიური კრიზისი და საყაფიცო მოძრაობა. ობუხოვის ქარხნის მუშების გმირული ბრძოლა ჯარებთან 1901 წლის საპირველმაისო გადფიცვა- დროს; ამიერ-კავკასიაში (ბათუმში) მომხდარი დიდი პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელიც ამხანაგმა სტალინმა მოაწყო 1902 წლის მარტში; გაფიცვა დონის როსტოვში; სტუდენტთა მუელვარება და გლეხთა მოძრაობა. გაზეთი გესლიანად ამხელდა ლიბერალური ბურჟუაზიის პოლიტიკურ ფარისევლობას და ესერთა წვრილბურჟუაზიული პარტიის ავანტიურიზმს.

თავის პოლიტიკურ აგიტაციაში „ისკრა“ უნარიანად აკავშირებდა მუშების ეკონომიურ ბრძოლას პოლიტიკურ ბრძოლასთან თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. უამრავი პოლიტიკური მოვლენებიდან და რედაქციაში მიღებული მრავალი მასალებიდან ლენინი შეარჩევდა ისეთებს, რომლებიც თვითმპყრობელური წყობილების ყველაზე მტკივნეულ ადგილებს სცემდა.

„ისკრას“ ფურცლებზე მხილებული იყო: მეფის პოლიციის თვითნებობა და მოხელეთა მექრთამეობა; გლეხთა ფიზიკური დაჯგა და დამშეული გლეხობასთან ბრძოლა; ეროვნებათა საშინელი ჩაგვრა; ჯარისკაცთა სასტიკი წვრთნა; მეცნიერთა დევნა და შევიწროება, მეცნიერებათა აკადემიიდან ა. მ. გორკის გარიცხვა; თვითმპყრობელობის მტაცებლური საგარეო პოლიტიკა და მეფის კარის კამარილის პარპაში.

ლენინს ეხერხებოდა მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების დაკავშირება რუსეთის საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების მთელ სისტემასთან. როდესაც იგი „ისკრაში“ სწერდა უმუშევრობაზე, მაშინ ააშკარავებდა უმუშევრობის კავშირს მთელ კაპიტალისტურ წყობილებასთან; როდესაც იგი სწერდა ბიუჯეტზე, მაშინ აჩვენებდა, რომ ხალხის კულს მშრომელთა ინტერესების წინააღმდეგ იყენებდნენ.

○

„ეკონომისტები“ უარჰყოფდნენ იმას, რომ საჭირო იყო ცენტრალიზებული პარტია მტკიცე პარტიული დისციპლინით. ისინი ამართლებდნენ კუსტარულობასა და წვრილბრივობას სოციალ-დემოკრატიის მუშაობაში. ქედს იხრიდნენ რა მუშათა სტიქიური მოძრაობის წინაშე, ისინი ქედს იხრიდნენ აგრეთვე პროლეტარიატის ორგანიზაციის იმ ფორმების წინაშე, რომლებიც სტიქიურად იქმნებოდა: ურთიერთდამხმარე ხალაროების, ვიწრო პროფესიული კავშირების წინაშე.

„ეკონომისტებისადმი“ დასაპირდაპირებლად ლენინმა წამოაყენა პროლეტარიატის მტკიცე, მებრძოლი მარქსისტული პარტიის ლოზუნგი და ეწეოდა ამ ლოზუნგის პროპაგანდას. ლენინმა შეიმუშავა ახალი ტიპის პარტიის აშენების გეგმა, მან დაარწმუნა ამ გეგმის ისწორეში რუსეთის ყველა რევოლუციური სოციალ-დემოკრატი, დარაზმა ისკრელები პარტიულობის დროშის ქვეშ. ლენინს მიაჩნდა, რომ თვით პარტია უნდა შენდებოდეს ორი ნაწილისაგან — პროფესიონალ რევოლუციონერთა ვიწრო წრისაგან და მშრომელთა მასებთან დაკავშირებული ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ფართო ქსელისაგან. ეს იყო რევოლუციური მარქსისტული პარტიის შექმნის გაბედული და ერთადერთი სწორი გეგმა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პროფესიონალ რევოლუციონერთა კადრების შექმნის ლენინურ იდეას. მხოლოდ თეორიულად მომზადებულ რევოლუციონერებს, რომლებიც მთელ თავის დროს პარტიულ მუშაობას ახმარდნენ და რომლებიც გამოცდილი იყვნენ მეფის პოლიციასთან ბრძოლაში, შეეძლოთ „ისკრია“ აგენტებად მუშაობა. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ისტორიაში არცერთ კლასს არ მიუღწევია ბატონობისათვის, თუ მას არ წამოუყენებია თავისი პოლიტიკური ბელადები, თავისი მოწინავე წარმომადგენლები, რომელთაც შეეძლოთ მოძრაობის ორგანიზება და მისი ხელმძღვანელობა“ (ლენინი. თხზ., ტ. IV, გვ. 58).

ლენინი ყურადღებით და სიყვარულით ზრდიდა „ისკრის“ აგენტებს, ზრდიდა მათგან პროლეტარულ პარტიულ მუშაკებს.

მოკლე ვადაში ლენინმა შესძლო „ისკრის“ აგენტთა განშტოებული ქსელის და მის მომხრეთა ფართო წრეების შექმნა. ისკრული ორგანიზაციები თითქმის მთელ რუსეთს მოიცავდნენ. რუსეთში მოწყობილი იყო არალეგალური ისკრული სტამბები (ბაქოში, კიშინიოვსა და ციმბირში), სადაც მატრიცებიდან იბეჭდებოდა „ისკრა“, იბეჭდებოდა ფურცლები და ბროშურები. მთელ რიგ ქალაქებში იყო არალეგალური ისკრული ლიტერატურის საწყობები. ფსკოვში, სამარასა და პოლტავაში მოწყობილი იყო ისკრული ორგანიზაციების ბიუროები. „ისკრა“ ვრცელდებოდა ჩვენი ქვეყნის ყველა უმნიშვნელოვანეს ქალაქებსა და პროლეტარულ ცენტრებში, აღწევდა შორეულ ციმბირსა და შუააზიაში.

ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა ლენინურ-ისკრულ ორგანიზაციებს ამიერ-კავკასიაში, რომლებმაც დიდი მუშაობა გააჩაღეს ლენინური იდეების პროპაგანდისათვის. ამხანაგმა სტალინმა ლ. კეცხოველთან ერთად შექმნა ისკრული მიმართულების გაზეთი „ბრძოლა“. ამიერ-კავკასიის ისკრელებს ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების განსამტკიცებლად, ებრძოდნენ „ეკონომისტებს“.

„ისკრის“ აგენტები იყვნენ პარტიის სწორედ ის ხერხემალი, რომლის შექმნაზეც ოცნებობდა ლენინი. ადგილობრივი ორგანიზაციები, ერთმეორეზე, აღიარებდნენ „ისკრას“ თავის ხელმძღვანელ ორგანოდ, უერთდებოდნენ მის ხაზს.

„ისკრის“ პირველი ნომრების გამოშვება (1900—1901 წლები) იყო ახალ პერიოდზე გადასვლა—დაჩაქსული ჯგუფებისა და წრეებიდან რუსეთის ერთიანი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ნამდვილი შექმნის პერიოდზე გადასვლა“ („საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 32).

ლენინი მუუდგა პარტიის II ყრილობის მომზადებას, რათა დაემთავრებინა „ისკრის“ მუშაობა.

„ისკრის“ სამი წლის (1901-3) მოღვაწეობამ,—აღნიშნავდა ლენინი, — გამომუშავა ს.-დ. პარტიის პროგრამაც და მისი ტაქტიკის საფუძვლებიც და მუშათა ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის თანმიმდევრული მარქსიზმის საფუძველზე შეერთების თეორმები“ (ლენინი. თხზ., ტ. XVII, გვ. 345).

რსდმპ მეორე ყრილობამ, რომელიც 1903 წელს შეიკრიბა, შეჰქმნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მიიღო პარტიის პროგრამა და წესდება, შეჰქმნა პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები.

„ისკრის“ მოღვაწეობა ყრილობამ ღირსეულად შეაფასა. აღნიშნა რა გაზეთის განსაკუთრებული როლი რუსეთის სოციალ-დემოკრატების იდეური და ორგანიზაციული შემჭიდროებაში, ყრილობამ დაამტკიცა „ისკრა“ პარტიის ცენტრალური ორგანოდ. ლენინი კვლავ არჩეულ იქნა „ისკრის“ რედაქციაში.

პარტიის მეორე ყრილობაზე გაართულა ბრძოლა რსდმპ შიგნით, ისკრული მიმართულების სასარგებლოდ და მის წინააღმდეგ.

ბოლშევიკებად გახდნენ ლენინური „ისკრის“ მტკიცე მომხრენი, შენშევიკებად—მისი მოწინააღმდეგენი და არათანმიმდევარი მარქსისტები.

მენშევიკებმა პარტიაში „ეკონომისტების“ ადგილი დაიკავეს, ეწინააღმდეგნენ რა ოპორტუნიზმს ორგანიზაციულ საკითხებში. მენშევიკები, გამოდიოდნენ რა ახალი, ლენინური ტიპის პარტიის წინააღმდეგ, ცდილობდნენ დეზორგანიზაცია შეეტანათ რსდმპ მუშაობაში, აღვნენ მაიი გათიშვის ხაზს. პლეხანოვის ღალატების მენშევიკებმა შემდეგში ხელთ იგდეს პარტიის ხელმძღვანელი ცენტრები — ცენტრალური კომიტეტი და „ისკრა“ — და დაიწყეს გაფთრებული ბრძოლა იერიში ბოლშევიკების წინააღმდეგ. იმ გამთიშველი მოქმედების შედეგად, რომელსაც მენშევიკები ეწეოდნენ ლენინი გამოვიდა „ისკრის“ რედაქციის შემადგენლობიდან. მას შემდეგ პარტიაში დაიწყეს ლაპარაკი ძველ, ლენინურ „ისკრაზე“ (№ № 1-51) და ახალ, შენშევიკურ „ისკრაზე“ (№ 52 ნომრიდან).

ძველი, ლენინური „ისკრა“ ნიმუშია ბოლშევიკური, მებრძოლი გაზეთისა, ნიმუშია კოლექტიური პროპაგანდისტ, აგიტატორ, ორგანიზატორ გაზეთისა.

ძველი „ისკრის“ ბრძოლამ, ამხანაგ სტალინის სიტყვით, შეჰქმნა „რუსეთის მუშათა კლასის ნამდვილად რევოლუციური მოძრაობის თეორიული საფუძვლები.

ამ ბრძოლის გარეშე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა დამოუკიდებელი მუშათა პარტიის შექმნაზე რუსეთში და მის ხელმძღვანელ როლზე რევოლუციაში“ (ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 20, მე-11 გამოცემა).

ლენინური „ისკრის“ ტრადიციები მთელი ბოლშევიკური პრესის ტრადიციებია. „ისკრის“ ორმოცი წლის იუბილე მთელი ბოლშევიკური პრესის იუბილეა.

ი. სმირნოვი.



ჯ. ი. ლენინი (1900 წ.)

○

ლენინური „ისკრა“ ამიერ-კავკასიაში რევოლუციური მოძრაობის შესახებ

ამიერ - კავკასიის რევოლუციური პროლეტარიატის გმირულ ბრძოლებს, რომლებსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა, ლენინური „ისკრა“ სისტემატურად აშუქებდა. „ისკრის“ 1901 წ. 6 დეკემბრის ნომერი იძლევა ამიერ-კავკასიის რევოლუციური პროლეტარიატის ძირითადი ბირთვის — თბილისის მუშების გმირული ბრძოლების ღრმა გაშუქებას. აღნიშნულ სტატიაში ლაპარაკია აგრეთვე ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით შექმნილ თბილისის კომიტეტია ავტორიტეტზე, რომლის მოწოდებასაც, „ისკრის“ სიტყვებით რომ ვთქვათ, თბილისის მუშები უდიდეს სიხარულით ხვდებიან.

1901 წლის 22 აპრილს ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით სპირველმაისო დემონსტრაცია მესამედ ეწყობა. ლენინურმა „ისკრამ“ თავის ფურცლებზე ორი სტატია მოათავსა ამ დემონსტრაციის შესახებ. „ისკრის“ № 4-ში (1901 წ. მაისი) გამოქვეყნებულია მოკლე ინფორმაცია აღნიშნული დემონსტრაციის შესახებ, ხოლო მეორე სტატიაში „პირველი მაისი თბილისში“ (№ 6,1901 წ. ივლისი). გაზეთი სწერდა: „ის ავბედავი, რომელიც კვირას 22 აპრილს (ძველი სტილით) მოხდა თბილისში. ისტორიულად ღირსშესანიშნავია მთელი კავკასიისათვის: იმ დღიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა“.

ამხანაგ სტალინის მიერ მოწყობილი სპირველმაისო დემონსტრაცია თავისი გრანდიოზულობით ომდენად დიდი იყო, რომ მან, როგორც ამას ლენინური „ისკრა“ სწერდა, „... იდიოტურ მთავრობას სულ აუბნია თავგზა“.

1901 წლის ნოემბრის დამლევს ამხანაგი სტალინი თბილისის კომიტეტის დავალებით მიდის ბათუმში, რომელიც თბილისისა და ბაქოს შემდეგ უყველაზე მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრს წარმოადგენდა ამიერ-კავკასიაში.

ამხანაგმა სტალინმა ბათუმის პროლეტარიატს უდიდესი გენიალობით უჩვენა „გვირგვინოსანი ჯალათის“ — მეფის თვითმპყრობელობის და მისი ლაქიების მთელი „სასაძაგლე, მტარვალობა და ფლიდობა“.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ბათუმის პროლეტარიატმა ერთხმად მიიღო რევოლუციური გადაწყვეტილება: „...სჯობს დავიხოცოთ არა დაზგებთან და არა ჰონებად, არამედ თავისუფლებისათვის, უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში!..“

ბათუმის პროლეტარიატის ეს სტალინური გადაწყვეტილება ლენინმა „ისკრის“ მე-16 ნომერში მოათავსა და ამ დღიდან დაწყებული ლენინური „ისკრა“ სისტემატურად ბეჭდავს კორესპონდენციებს ბათუმში პარტიული მუშაობის და რევოლუციური მოძრაობის შესახებ.

მონური მორჩილების წყვდიადში მთელემარე ბათუმის პროლეტარიატი ამხანაგმა სტალინმა ბრძოლაში პირველად ჩააბა 1902 წლის იანვარში, როცა მან მოაწყო მანთაშევის ქარხნის მუშათა პირველი დიდი გაფიცვა. იმავე წლის თებერვალში ამხანაგმა სტალინმა როტშილდის ქარხანაში მოაწყო ორი დიდი გაფიცვა, რომლებიც მუშათა გამარჯვებით დამთავრდა.

ლენინურმა „ისკრამ“ ბათუმში მომხდარი გაფიცვების გაშუქებას მიუძღვნა სტატიების სერია: „მუშების გაფიცვა მანთაშევისა და როტშილდის ქარხნებში. ბათუმში“ (იხ. № № 20, 24, 1902 წ.). ამ სტატიებში დეტალურად გაშუქებულია გაფიცვების მსვლელობა და ხაზგასმით აღნიშნულია როლი რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების ბათუმის კომიტეტისა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამხანაგი სტალინი.

იმავე წლის 9 მარტს ამხანაგმა სტალინმა მოაწყო ბათუმის მუშების უდიდესი პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელშიაც 6 ათასამდე კაცმა მიიღო მონაწილეობა.

მართალია, დემონსტრაცია დამარცხდა, მაგრამ მან მძლავრი გამოხმაურება ჰპოვა და, როგორც კალინინი სწერდა, „სრულიად-რუსეთის პოლიტიკური მნიშვნელობა მიიღო“.

ამხანაგი სტალინი უდიდეს მუშაობას ეწეოდა აგრეთვე მშრომელ გლეხობაში. მუშებისა და გლეხების კავშირის განმტკიცების სტალინურმა ხელოვნებამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა მთელ ამიერ-კავკასიაში. მუშათა გამოსვლებს ყოველთვის მხარს უჭერდა გლეხობა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ლენინური „ისკრა“ ხშირად ბეჭდავდა კორესპონდენციებს ამიერ-კავკასიის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის საკითხებზეც. ლენინურმა „ისკრამ“ სამეგრელოც კი არ დაივიწყა მისი სოფლებით: საჭილაოთი, სენაკით და სხვ., სადაც გაუგონარი ტემპით იზრდებოდა გლეხთა რევოლუციური მოძრაობა.

ასევე ფართოდ აშუქებს ლენინური „ისკრა“ იზრბაიჯანსა და სომხეთში რევოლუციური მოძრაობის მიმდინარეობას.

ბაქოს ამბებზე „ისკრაში“ დაიბეჭდა 20-მდე სხვადასხვა ხასიათის წერილები და კორესპონდენციები. ხოლო რაც შეეხება სომხეთს, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ბაქოში კეცხოველის მიერ მოწყობილ სტამბაში გამოსვლას იწყებს სომეხი მუშებისათვის სომხურ ენაზე გაზეთი „პროლეტარიატი“, რომელიც თავის უახლოეს ამოცანად ისახავდა „სომეხთა პროლეტარიატის პოლიტიკურ აღზრდას და მის ჩაბმას მთელი რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლაში მეფის თვითმპყრობელობის დასამხობად“.

ლენინი „ისკრის“ № 33-ში მხურვალედ მიესალმება ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ბაქოში „პროლეტარიატი“ მიერ „ბაქოელ პროლეტარიატის საკითხის სწორ დაყენებას“. სომხეთის რევოლუციური მოძრაობისა და პარტიული მშენებლობის საკითხების გაშუქების მიზნით ლენინმა „ისკრაში“ ფურცლებზე დაბეჭდა ათამდე კორესპონდენცია.

ამიერ-კავკასიის რევოლუციური პროლეტარიატის გმირული ბრძოლებისათვის ყოველმხრივ მხარდაჭერის შედეგი იყო, რომ ლენინური „ისკრა“ სტალინურ „ბრძოლასთან“ ერთად გახდა ამიერ-კავკასიის მშრომელი მასებისათვის საყვარელი გაზეთი.

სტალინური „ბრძოლა“ მჭიდრო კავშირს ამყარებს ლენინურ „ისკრასთან“. „ბრძოლა“ ბეჭდავს „ისკრიდან“ სტატიებს, იცავს და განვითარებს ლენინურ-ისკრულ შეხედულებებს.

ამხანაგ სტალინისათვის განსაკუთრებით ძვირფასი იყო „ისკრაში“ დაბეჭდილი ლენინის სტატიები, ვინაიდან, როგორც ამხანაგი კალინინი სწერს, ისინი წარმოადგენდნენ ავტორიტეტულ დადასტურებას იმ შეხედულებებისა, რომლებიც უკვე მანამდე შეიქმნა ამხანაგ სტალინს რევოლუციური მოძრაობის შესახებ.

ლენინური „ისკრის“ ფურცლებზე ამხანაგ სტალინის სახელთან დაკავშირებული ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობისა და პარტიული მუშაობის საკითხების გაშუქება და ამხანაგ სტალინის მიერ, ლენინურ-ისკრულ იდეების დაუღალავი პროპაგანდა ბრწყინვალედ გამოხატავენ დიდი, ლენინისა და დიდ. სტალინის დიად და ურყევ მეგობრობას.

ბრ. ჟვანია

ი. ბ. სტალინი თავის თანამებრძოლთა შორის („ისკრის“ ორგანიზაციის პერიოდი).

მხატვარ ი. ნებრინცევის ნახატი.

ՊՈՒՇԿԻՆԻ ԱՆՎԱՆ ՊԱՐՏԵԶԻ ԱՂՋԿԱՑԻ ՄԱՐՏԱԿԱՆ ԽՈՒՄԲԸ

ՊՈՒՇԿԻՆԻ ԱՆՎԱՆ ՊԱՐՏԵԶԻ ԱՂՋԿԱՑԻ ՄԱՐՏԱԿԱՆ ԽՈՒՄԲԻ ՀՐԱՎԻՐԱԿՉՈՒԹՅՈՒՆ

**ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ՊԱՐՏԱԿԱՆ ՄԱՐՄՆԻ ՎԱՐՉԱԿԱՆ ԿԱԶՄԻ ՈՐՈՇՈՒՄԸ